განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 16/07/2021

დასკვნის წარდგენის თარიღი 05/08/2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული, 0319
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	242 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	27.11.2012 გადაწყვეტილება N713

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ირაკლი მანველიძე,** ასოცირებული პროფესორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ემზარ ჯგერენაია,** პროფესორი, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მამუკა ნადარეიშვილი,** პროფესორი, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ქრისტინე ჩიხლაძე,** სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნიკა გიგაური,** სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ფუნქციონირებს 2011 წლიდან. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მიზნებიდან გამომდინარე მოაზრებულია, როგორც მრავალმხრივი და ფართო განათლების მიცემი, რომელიც პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს საზოგადოებრივი მეცნიერებების სფეროში და ამასთანავე, ითვალისწინებს მსოფლიო ისტორიულ, კულტურულ, ფილოსოფიურ თუ ჰუმანიტარულ მემკვიდრეობას. პროგრამის კურიკულუმი აგებულია თავისუფალი მეცნიერებების სწავლების (Liberal Arts Education) პრინციპებზე: ზოგადიდან კონკრეტულისკენ, სხვადასხვა დისციპლინის ერთიან კონტექსტში გააზრება, თეორიული ცოდნის მიწოდება-მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების სინთეზი. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგნელებთან გასაუბრებით დადგინდა რომ სოციალური მეცნიერებების საბაკალვრო საგანმანთლებლო პროგრამა დღეს არის მოქმედი საგანამანთლებლო პროგრამა, რომელსაც აკრედიტაციის ვადა ეწურება 2021 წლის 31 დეკემბერს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა საჭიროდ ჩათვალა, რომ სააკრედაციოდ წარმოდგენილი სოციალური მეცნიერებების საბაკალვრო საგანამნთლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით, 2020 წლის 30 ოქტომბერს სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აკადემიური საბჭოს სხდომაზე განეხილა სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის გეგმიური აკრედიტაციისთვის მომზადების საკითხი. როგორც გასაუბრებით დადგინდა, თავდაპირველად, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობდა ხუთი კონცენტრაციიდან ერთ-ერთის არჩევის შესაძლებლობას: საჯარო მმართველობის, საერთაშორისო ურთიერთობების, ჟურნალისტიკის, ეკონომიკისან ფსიქოლოგიის მიმართულებით, ხოლო რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამა თავისი ორგანული კომპონენტის სახით, ამჟამად ითვალისწინებს დამატებითი სპეციალობის (მაინორის) დაუფლებას - ან საჯარო მმართველობის, ან საერთაშორისო ურთიერთობების, ან

ფსიქოლოგიის მიმართულებით. დოკუმენტების შესწავლამ აჩვენა, რომ წარმოდგენილი პროგრამა, რომელიც მთლიანად 44 საგანს/242 კრედიტს მოიცავს, სწავლების დასაწყისში სთავაზობს სტუდენტებს, სოციალურ მეცნიერებათა დარგთან დაკავშირებული სასწავლო კურსების შესწავლასთან ერთად, გაეცნონ განსხვავებულ დისციპლინებს, ხოლო მესამე სასწავლო წლიდან, მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, შეთავაზებული სამი სფეროდან, სავალდებულო წესით აირჩიონ ერთ-ერთი დამატებითი სპეციალობა (მაინორი). როგორც ინტერვიურების დროს დადასტურდა სწავლების ასეთი მიმდევრობა საშუალებას აძლევს სტუდენტს პირველ და მეორე კურსებზე სწავლის დროს უკეთ გაერკვეს, კონკრეტულად რა სფეროში ისურვებს პროფესიის დაუფლებას (საერთაშორისო ურთიერთობები, ფსიქოლოგია თუ საჯარო მმართველობა). გარდა სავალდებულო საგნებისა, პროგრამაში არჩევითი საგნების საკმარისად ფართო სპექტრია წარმოდგენილი.

პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 4 წელია, სწავლების ენა ქართულია, მისანიჭებელი ხარისხია სოციალურ მეცნიერებების ბაკალავრი. საკრედიტო მოცულობაა 242 კრედიტია, მათგან ზოგად-სავალდებულო (38 ECTS), სოციალური მეცნიერებების სავალდებულო (120 ECTS) და არჩევითი (24 ECTS), დამატებითი სპეციალობის (მაინორის) სავალდებულო და არჩევითი (60 ECTS).

პროგრამის განხოციელებას ემსახურება 66 აკადემიური პერსონალი (მათ შორის, 15 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ პროფესორი, 7 ასისტენტი და 33 მოწვეული პერსონალი (მათ შორის სწავლებაში ჩართული 1 უცხოელი მოწვეული პერსონალი). თითოეული მათგანის კვალიფიკაცია რელევანტურია აღნიშნული დარგისთვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში შედგა 2021 წლის 16 ივლისს გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით, გასაუბრება შედგა შემდეგ ჯგუფებთან/ადამიანებთან:

- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი
- პროგრამის ხელმძღვანელი
- დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
- პროგრამის სტუდენტები
- პროგრამის კურსდამთავრებულები
- დამსაქმებლები.

გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც მოემსახურება საბაკალვრო პროგრამის ფუნქციონირებას.

დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა 10.00-დან 18.10 საათამდე.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

პასუხი: ა(ა)იპ - ჯიპას არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

აქვე ავღნიშნავთ, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით და იმდენად რამდენადაც ,,უნივერსიტეტი იზიარებს დასკვნის პროექტით წარმოდგენილ რიგ რეკომენდაციებს, თუმცა ზოგ შემთხვევებში“ მხოლოდ ,,აფიქსირებს განსხვავებულ პოზიციას ან/და“ ,,მხოლოდ“ დამატებით განმარტებას იძლევა“, რაც არ არის ის ახალი მტკიცებულება და ახალი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც საშუალებას მისცემდა ექსპერტთა ჯგუფს დასკვნის პროექტის კორექტირებისთვის, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა აკრედიტაციის ხუთი სტანდარტის მიხედვით სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამამ ასეთი შედეგი აჩვენა:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - პროგრამა **მეტწილად შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;

- **რეკომენდაციები**

ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის მიმართ აქვს 9 (ცხრა) რეკომენდაცია:

1.2. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გაიმიჯნოს ცოდნა და გაცნობიერებისა და უნარების, უნარებისა და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის ნაწილები, რათა სწავლის შედეგები არ იყოს ბუნდოვანი, ძნელად გასაზომი და შესაფასებელი.

1.2 რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის კურსდამთავრებულების ორგანიზებული და სისტემური ჩართულობა.

2.2 რეკომენდირებულია პროგრამაში შემავალი ზოგიერთ სასწავლო კომპონენტს შორის გამოიკვეთს პრერეკვზიტი რომ სასწავლო კურსები იყოს თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატური. სასწავლო კურსი ,,შესავალი სოციალურ მეცნიერებებში“ უნდა იყოს წინა პირობა სასწავლო კურსების: „თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“,

„შესავალი სოციოლოგიაში“, „ფსიქოლოგიის საფუძვლები“, „შესავალი ეკონომიკაში“, „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“, „შესავალი სოციალურ ფსიქოლოგიაში“.

2.3 რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: ,,შესავალი სოციალურ მეცნიერებებში“, ,,თვისობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, „შესავლი პოლიტიკის მეცნიერებებში“ კურსის „შესავლი ეკონომიკაში“ თემატური გადაფარვების აღმოფხვრა

2.3 რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში“ და „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის გაძლიერებულ კურსში“ მოყვანილი საათები შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი სასწავლო გეგმაში საგნისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობასთან.

2.3 რეკომენდებულია სასაწავლო კურსში ,,თანამედროვე ტენდენციები სოციალურ მეცნიერებებში“ მკაფიოდ მიეთითოს სასწავლოს კურსის განმახორციელებლი პირები (საკონტაქტო ინფორმაციით) და ასევე გაიწეროს მე-9 და მე-10 კვირის თემა და ძირითადი ლიტერტაურა.

2.6 რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1.ფსიქოლოგიის საფუძვლები; 2.საზოგადოების აზროვნების ფილოსოფიური საფუძვლები; 3.შესავალი ეკონომიკაში; 4.შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში; 5.საზოგადოებასთან ურთიერთობების საფუძვლები; 6.საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა; 7.პოლიტიკური იდეოლოგიები; 8.შესავალი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში და 9.ევროკავშირის პოლიტიკა - სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებითა და რუბრიკით.

5.3. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან სწავლის შედეგების მართებულად ჩამოყალიბების (მოქმედების გამომხატველი, აქტიური ზმნებით, რათა შესაძლებელი იყოს მათი გაზომვადობა) მიზნით, რაც შემდგომ ეტაპზე გაამარტივებს პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს სწავლის შედეგებთან მიმართებით.

5.3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, მოხდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რეფორმულირებება არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიციით, აღნიშნული რეკომენდაციების აღმოფხვრა შესაძლებელია ექვსი თვიდან ერთი წლის შუალედში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.1. სასურველია შორმის ბაზრის კლვევის მეთოდოლოგიის დახვეწა და მიზნობრივად საგანმანთლებლო პროგრამის საჭიროებისთვის კვლევის განხორცილება;
1.2. სასურველია მკაფიოდ განისაზრვროს პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები, შემუშავდეს სამიზნე ნიშნეულების განსაზღრის მეთოდოლოგია, სადაც ასახული იქნება შესაბისი ინდიკატორები და რუბიკები.

1.2. სასურველია, დამატებითი სპეციალობის სწავლის შედეგები უფრო მეტად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან და მეტად ითვალისწინებდეს კონკრეტული დარგის სპეციფიკას;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

მისასალმებელი პრაქტიკაა ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და მობილობებში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის და საბაკალვრო პროგრამის მიზნების მიხედვით ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის მომზადება, როელიც აღჭურვილი იქნება ფართო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რომელიც მას სოციალურ მეცნიერებათა სფეროში პროფესიული ფუნქციონირების/კარიერული წინსვლის და/ან მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს. ამავე დროს, პროგრამის მიზანი ასახავს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა ის მიმართული, და აქედან გამომდინარე ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს სოციალური მეცნიერებების როგორც აკადემიური და სამეცნიერო დარგის, ასევე საზოგადოების განვითარებაში, რაც პასუხობს უნივერსიტეტის მისიას. თუმცა, იმდენად, რამდენადაც პროგრამა არაკლასიფიცირებული სფეროს მიხედვით არის წარმოდგენილი, ხოლო პროგრამა არ მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს მთლიანად და სრულად, აქედან გამომდინარე მიზნებში სუსტად ჩანს თუ სოციალური მეცნიერებების რომელ დარგებში რა კონკრეტული ფართო ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. ასევე, შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტების შესწავლამ გამოავლინა, რომ ბაზრის შესწავლა და დამსაქმებელთა მოთხოვნის წარმოდგენილი ანალიზი სუსტად აჩვენებს სოციალურ მეცნიერებებში ფართო ცოდნის მიმართულებით პროგრამის მნიშვნელობას და საჭიროებას. შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტის ანალიზი აშაკარად ავლენს ტენდენციას რომ მასში აქცენტი უფრო გაკეთებულია დამატებითი სპეციალობების მიმართულებით დამსაქმებლების მიერ ფსიქოლოგიის, საჯარო მმართველობის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ცოდნის და უნარების იდენტიფიცირებაზე. აღნიშნულ დოკუმენტში სუსტად ჩანს სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის საჭიროება და მნიშვნელობა დამსაქმებლებისათვის. შესაბამისად, შემთხვევითი არ არის, რომ პროგრამის ორგანულ ნაწილად გამოცხადებულია დამატებითი სპეციალობები საერთაშორისო ურთიერთობების, ფსიქოლოგიის და საჯარო მმართველობის მიმართულებით. გასაუბრებამ აჩვენა, რომ რეაკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამა გაზიარებულია აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისს, დამსაქმებელისა და კურსდამთავრებულების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის მისია;

- ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024;
- შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- პროგრამა/კურიკულუმი;
- საგანმანათლებლო პროგრამის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.gipa.ge .

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, შორმის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის დახვეწა და მიზნობრივად საგანმანთლებლო პროგრამის საჭიროებისთვის კვლევის განხორციელება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით პროგრამის მიზნები დაკავშირებული სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი შეესაბამება სწავლის საფეხურის აღმწერებს. კურიკულუმში წარმოდგენილ ყველა სასწავლო კურსს თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით წვლილი შეაქვს პროგრამის დასახული მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევაში.

პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლამ აჩვენა რომ პროგრამის სწავლის

შედეგად განისაზღვრა ექვსი შედეგი, რომლებიც თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად პასუხობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და ის ასახავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, თუმცა მათი დაჯგუფება არ არის მოცემული ეროვნული საკვალიფიკაცო ჩარჩოს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ, პირველი შედეგი არის სოციალურ მეცნიერებათა დარგების ფართო ცოდნა, მეორე შედეგი არის ზოგადი განათლება, მესამე შედეგი - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, მეოთხე შედეგი არის კვლევის უნარი, მეხუთე შედეგი არის ტრანსფერული უნარები, და ბოლო მეექვსე შედეგი არის ეთიკა. აღნიშნულ შედეგებს ახასიათებთ გაუგებრობა და წინააღმდეგობრივი ხასიათი. კერძოდ, შედეგი ორი ,,შედეგი 2. ზოგადი განათლება - ფლობს ფართო ზოგად განათლებას ლიტერატურის, ისტორიის, ფილოსოფიის, გეოგრაფიისა და სხვა სფეროებში; იცნობს მსოფლიო სულიერ და მხატვრულ მემკვიდრეობას, ძირითად ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ და სხვა თეორიებს; ფლობს ცოდნას ლიბერალური ღირებულებებისა დაადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპების შესახებ", როგორც ცნობილია ეროვნული საკავალიფიკაცო ჩარჩო განათლების საფეხურის მეექვსე დონისათვის ტერმინს/ცნებას ზოგადი განათლება არ იცნობს. გასაუბრების დროს დაწესებულების წარმომადგენელბის მხრიდან ვერ მოხდა ცნების ,,ზოგადი განათლების" დასაბუთება. ასევე წინააღმდეგობრივია შედეგი 3 და შედეგი 4 ერთმანეთთან. შედეგი სამი ,,**შედეგი 3. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი"** - აჩვენებს რომ ,,პრაქტიკაში იყენებს სოციალურ მეცნიერებებში შეძენილ ცოდნას; წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის შესაბამისად და ხელმძღვანელობის ქვეშ გეგმავს, ახორციელებს და წარადგენს დასკვნით სასწავლო პროექტს, ხოლო ,,შედეგი 4. კვლევის უნარი" - გვეუბნება, რომ ,,იცნობს და იყენებს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს. **შეუძლია მცირე-მასშტაბიანი ემპირიული კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება.** ასევე, შეუძლია საბაზისო დონეზე მონაცემთა ანალიზი. იმდენად, რამდენადაც ამ შედეგით ჩანს, რომ სტუდენტი/კურსდამთავრებული კვლევას დამოუკიდებლად ახორციელებს, წინააღმდეგობაში მოდის საკავლიფიკაციო ჩარჩოს მეექვსე დონის მოთხოვნებთან. პროგრამის მესამე შედეგში კი ყურადღება ძირითადად გამახვილებულია სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისიწინებული დასკვნითი პროეტის მომზადებაზე, რაც არ არის მართებული, ვიანიდან პროგრამის სწავლის შედეგი არის ის მოცემულობა, რომლითაც კურსდამთავრებული სწავლის დასრულების შემდეგ სარგებლობს. რაც შეეხება მე-3 და მე-4 შედეგების ურთიერთწინააღმდეგობრივობას, იკვეთება მათივე შინაარსობრივ ნაწილში. სახელდობრ, მაშინ, როცა მე-3 სწავლის შედეგი ხაზს უსვამს სტუდენტის მიერ ინსტრუქტაჟით, ხელმძღვანელობის ქვეშ დასკვნითი პროეტის მომზადებას, მე-4 შედეგი უკვე მოიაზრებს ფაქტობრივად კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას და განხორციელებას.

ხარისხის სამსახურის წარმომაგენლებთან გასაუბრების დროს მათ ჯერ დაადასტურეს, რომ კი პროგრამის მე-3 შედეგი ასახავს/ემსახურება სწორედ დასაკვნითი სასწავლო პრექტის შესრულებას პროგრამის ფარგელბში, თუმცა შემდეგ უარყვეს, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პრეროგატივა პროგრამის ხელმძღვანელის და მუშა ჯგუფის პრეროგატივა იყო.

პროგრამის შედეგების ამგავრი დაჯგუფება, ასევე, გაართულებს მათ რეალურ გაზომვადობას. კერძოდ, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტებია „ცოდნა და გაცნობიერება," „უნარი" და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა". მიგვაჩნია, პროგრამის სწავლის შედეგების დაჯგუფება (მსგავსად სასწავლო კურსებისა) უნდა მოხდეს საკავლიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბმისად, ვინაიდან კონკრეტული საკვალიფიკაციო ელემენტის გაზომვა უნდა მოხდეს შესაბმისი სამიზნე ნიშნულების მიხედვით. მართალია, პროგრამაში არის სწავლის შედეგების მიხედვით შესაბმისი ზოგადი/პირობითი სამიზნე ნიშნულები

გაწერილი, მაგრამ სწავლის შედეგების შეფასება აღნიშნული ნიშნულებით გაჭირდება, ვინაიდან სწავლის შედეგები დაჯგუფებული არ არის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონის განმსაზღვრელი ელემენტების მიხედვით. მაგალითად ,,სწავლების შედეგი 5“ ერთდროულად ასახვას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონის განსაზღრელ ელემენტს როგორც „უნარს“, და ასევე „პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას“, რაც გაართულებს მათ შეფასებს. კერძოდ შედეგში საუბარია **,,შედეგი 5. ტრანსფერული უნარები** - ეფექტურად ერთვება კომუნიკაციაში პროფესიული და არაპროფესიულისფეროს წარმომადგენლებთან, აქტიურად მონაწილეობს თემატიკასთან დაკავშირებულ ჯგუფურ აქტივობებსა და დისკუსიებში; როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, თანმიმდევრულად გადმოსცემს შესაბამის შინაარსს; მიღებულ ცოდნას იყენებს განსხვავებულ კონტექსტში; **აღიარებს „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ პრინციპის მნიშვნელობასა და პროფესიული განვითარების გაგრძელების აუცილებლობას“.** აუცილებელია ამ შედეგში გაიმიჯნოს „უნარის“, და „პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის“ სწავლის შედეგები, რათა მკაფიო გახდეს მათი აღქმაც და გაზომვადობაც.

თვითშეფასების ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, საგანმანთლებლო პროგრამაში აღნიშნულია რომ ,,სწავლის შედეგების ზოგადი სამიზნე ნიშნულები შემდეგნაირადაა განაწილებული: ქულების სამიზნე ნიშნული - 71% , ხოლო სტუდენტების -70%, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამის მოლოდინით, სტუდენტების 70%-მა დასკვნით სასწავლო პროექტში მინიმუმ 71 ქულა უნდა აიღოს, ცხრილში აღნიშნული დადებითი შეფასებით. დასაშვები გადახრა თითოეულ სამიზნე ნიშნულთან მიმართებით წარმოადგენს 10%-ს.“ თვითშეფასების ანგარშში და საგანამნთლებლო პროგრამის ცხრილში წარმოდგენილია პროგრამის ექვსივე შედეგთან დასკვნითი სასწავლო პროექტის შესაბამისობის რუკა და შემდეგი სამიზნე მაჩვენებლები: პირველი შედეგზე არის სოციალურ მეცნიერებათა დარგების ფართო ცოდნა-20% , მეორე შედეგზე ზოგადი განათლება-10%, მესამე შედეგზე ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი-20%, მეოთხე შედეგზე კვლევის უნარი-20%, მეხუთე შედეგზე ტრანსფერული უნარები-20% , მეექვსე შედეგზე არის ეთიკა- 10%. სამიზნე ნიშნულებში შედეგის თითოეულ მაჩნებელთან მიმართებით არ არის მოცემული მისი ქვედა მინიმალური ზღვარი და ზედა მაქსიმალური ზღავრი. ასევე საგანმანთლებლო პროგრამის კურიკულიუმს არ აქვს გაწერილი საგანმანთლებლო პროგრამის შედეგების შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების სწორად ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების რუბიკები, რითიც ფასდება პროგრამის ეფექტურობა სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით. კონკრეტული სამიზნე ნიშნულების რუბიკების გარეშე მონაცემთა შეგროვება აზრს კარგავს. ასევე არ არის წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, რომელი რუბკით, როდის, ვის მიერ შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი.

უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს სასწავლო პროცესის შეფასების მექანიზმის არსებობა, რაც ასევე მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლამაც დაადასტურა.

მრეგულირებლ დოკუმენტში სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზისთვის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგს: სწავლის ხარისხის შეფასებისა და შედეგების გამოყენების ციკლი შედგება 4 (ოთხი) ურთიერთდაკავშირებული ეტაპებისგან: დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე: დაგეგმე - სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებები, შეფასების საშუალებები, შეფასების კრიტერიუმები, განმახორციელებელი პირები და ღონისძიებების განხორციელების სიხშირე; განახორციელე - დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება ამ წესებით

განსაზღვრული პირების ჩართულობითა და დადგენილი მეთოდოლოგიით, მათ შორის საველე სამუშაოებით; შეამოწმე - ჩატარებული საველე და სხვა სამუშაოების შედეგების განხილვა, გაანალიზება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და შეფასება, რაც ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნივერსიტეტის სკოლების პერსონალის, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისა და სკოლების პერსონალის ჩართულობით; განავითარე - გატარებული ღონისძიებების, მიღებული შედეგების შეფასებიდან გამომდინარე, ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და სწავლების ხარისხის გაზრდასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

როგორც უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტით ირკვევა პროგრამის გაუმჯობესებისთვის დაგეგმილია პროგრამის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი. შეფასება ძირითად ხდება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარი. როგორც მარეგულირებელი დოკუმენტებიდან ირკვევა სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა თავისი მოსაზრება დააფიქსიროს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ. იგი მოიცავს კითხვებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობების საათების რაოდენობების და მათი შეფარდების, დამხმარე სერვისებისა და მათი ხელმისაწვდომობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და კონსულტაციების, სწავლებისა და შეფასების მეთოდებისა და სხვა საკითხების შესახებ. შეფასების განხორციელების პროცესში ანონიმურობა მაქსიმალურად არის დაცული, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას თავისუფლად და დამოუკიდებლად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები.

მარეგულირებელ წესში გაწერილია სასწავლო პროცესის შეფასების შედეგების ანალიზი, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამის სკოლის პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების, კოორდინატორების, სკოლის პერონალის და სხვა პირების ჩართულობით (შემდგომში სამუშაო ჯგუფი). ანალიზის პროცესი მოიცავს: სამუშაო ჯგუფის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის გაანალიზებას; სხვადასხვა პროგრამებზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის და პოზიტიური ფაქტორების დანერგვის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას; უნივერსიტეტის პრაქტიკაში დაგროვილი გამოცდილებით სხვა კვლევების ჩატარებას. მიღებულ შედეგებზე დროული რეაგირების მიზნით სამუშაო ჯგუფი იკრიბება სემესტრის დასრულებისას და გონივრულ ვადაში ახდენს შედეგების გაანალიზებას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების სახით წარედგინება სკოლის აკადემიურ საბჭოს განსახილველად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების წარდგენის შემდეგ, სკოლის აკადემიური საბჭო შეფასების ანგარიშის განსახილველად იკრიბება, გონივრულ ვადაში, ისე რომ შესაძლებელი იქნეს ხარვეზების მაქსიმალურად სწრაფად აღმოფხვრა მომდევნო სემესტრის დაწყებამდე. სკოლის აკადემიური საბჭო აანალიზებს შემუშავებულ რეკომენდაციებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საგანმანთლებლო პროგრამის შემდგომ დახვეწასთან დაკავშირებით და ატარებს შესაბამის რეაგირებას გამოვლენილი ხარვეზებისა და შემუშავებული რეკომენდაციების ხასიათიდან გამომდინარე.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი, არ ჩანს რომ წინამდებარე პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ კურსდამთავრებულები. გასაუბრების დროს კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ჰქონდათ საუბრები საკუთარ ინიციატივებზე პროგრამის გაუმჯობესების შესახებ, თუმცა ფორმატის აღწერა

გაუჭირდათ. აქედან გამომდინარე არ იკვეთება კურსდამთავრებულების, როგორც დაინტერესებული მხარის სისტემური და ფორმალიზირებული მონაწილეობა წინამდებარე პროგრამის შემუშავებაში, რასაც, ასევე, ადასტურებს პროგრამის თვითშეფასების ჯგუფების შემადგენლობა, რომელშიც არ არიან ჩართული კურსდამთავრებულები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა/კურიკულუმი; ○ პროგრამის მიზნები; ○ პროგრამის სწავლის შედეგები; ○ პროგრამის მიზნის და სწავლის შედეგების რუკა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები ○ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გაიმიჯნოს ცოდნა და გაცნობიერებისა და უნარების, უნარებისა და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის ნაწილები, რათა სწავლის შედეგები არ იყოს ბუნდოვანი, ძნელად გასაზომი და შესაფასებელი. • რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის კურსდამთავრებულების ორგანიზებული და სისტემური ჩართულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები, შემუშავდეს სამიზნე ნიშნეულების განსაზღრის მეთოდოლოგია, სადაც ასახული იქნება შესაბისი ინდიკატორები და რუბიკები. • სასურველია, დამატებითი სპეციალობის სწავლის შედეგები უფრო მეტად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან და მეტად ითვალისწინებდეს კონკრეტული დარგის სპეციფიკას;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2 სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაში გაწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც სხვადასხვა პირობას მოიცავს. კერძოდ: სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა ან ისტორია; უცხო ენად - ინგლისური. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში;

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთა

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის, დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის და ევროპული კრედიტების ტრანსფერების სისტემის შესაბამისად. თვითშეფასების ჯგუფის ანგარიშის მიხედვით შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შესწავლამ აჩვენა რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

თვიშეფასების ანგარიშის მიხედვით სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები ერთიან კონტექსტში მოიაზრება. განსაკუთრებული ყურადღება მათ ლოგიკურ თავსებადობასა და თანმიმდევრობას ეთმობა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის საწყის ეტაპზე სტუდენტები ეცნობიან საგნებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ უფრო მეტად სწავლის შედეგების გაცნობით დონეზე გაყვანას, შემდგომ ეტაპზე სტუდენტები ეცნობიან საგნებს, რომლებიც ორიენტირებულია სწავლის შედეგების გაღრმავებაზე, ხოლო პროგრამის დასკვნით ეტაპზე წარმოდგენილი სავალდებულო დასკვნითი კომპონენტები ხელს

უწყობენ სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცებას. იმ საგნების გასავლელად, რომლებსაც გააჩნიათ დაშვების წინაპირობა სტუდენტი დაიშვება მხოლოდ პრერეკვიზიტად მითითებულ საგანში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. თუმცა, ამ კუთხით პროგრამის შესწავლამ აჩვენა, რომ პროგრამის სპეციალობის 26 სავალდებულო სასაწვლო კურსიდან, <u>წინაპირობები წარმოდგენილია მხოლოდ 6 სასწავლო კურსში,</u> და მათგანაც, მხოლოდ ერთი სასწავლო კურსი სამი სასწავლო კურისის წინაპირობაა, მაშინ როცა პროგრამაში მოცემული სასწავლო კომპონეტები შინაარსობრივად ავლენენ თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგების აუცილებოლას, რომ შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები იყოს ადექვატური პრერეკვიზტის დაცვის აუცილებლობით. მაგალითად, სასწავლო კურსის ,,შესავალი სოციალურ მეცნიერებებში“ რომლის შინაარსი მოიცავს ისტორიას, ფსიქოლოგიას, პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, კვლევის მეთოდების საკითხებს, არ არის მომდევნო სემესტრში შემავალი იმ სასწავლო კომპონეტების წინაპირობა, როგორიცაა შემდეგი სასწავლო კურსები: „თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, „შესავალი სოციოლოგიაში“, „ფსიქოლოგიის საფუძვლები“, „შესავალი ეკონომიკაში“, „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“, „შესავალი სოციალურ ფსიქოლოგიაში“. ასევე, გარკვეულწილად ადგილი აქვს თემატურ გადაფარვას, მაშინ როცა პირველ სემესტრში ისწავლება სასწავლო კურსი - „ისტორია, როგორც საზოგადოებრივი და სოციალური მეცნიერება“, ხოლო შემდეგ სემესტრში სასწავლო კურსში „შესავალი სოციალურ მეცნიერებებში“ ისტორიას განმეორებით 4 საათი აქვს დათმობილი.

პროგრამის სტრუქტურის შესწავლამ და გასაუბრებამ აჩვენა სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა ოთხწლიანია და შედგება რვა სემესტრისგან. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 242 კრედიტი. პროგრამა შედგება სავალდებულო და ზოგადი არჩევითი კომპონენტების ერთობლიობისგან. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სულ 44 საგანს (სავალდებულო და არჩევითი, აქედან 18-18 დამატებითი სპეციალობის სასწავლო კურსები): ზოგად-სავალდებულო (38 ECTS), სოციალური მეცნიერებების სავალდებულო (120 ECTS), ზოგადი არჩევითი (24 ECTS), დამატებითი სპეციალობის (მაინორის) სავალდებულო და არჩევითი (60 ECTS), პროგრამის ბოლო სემესტრში სტუდენტი ამზადებს და იცავს დასკვნით პროექტს, რომელიც პროგრამის სავალდებულო კომპონენტია და მოიცავს 8 კრედიტს.

გასაუბრებამ აჩვენა რომ პროგრამა ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს.

სოციალური მეცნიერებების მოქმედი საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები
- სასწავლო კურსის სილაბუსები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაში შემავალი ზოგიერთ სასწავლო კომპონენტს შორის გამოიკვეთს პრერეკვზიტი რომ სასწავლო კურსები იყოს თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატური. სასწავლო კურსი ,,შესავალი

სოციალურ მეცნიერებებში“ უნდა იყოს წინა პირობა სასწავლო კურსების: „თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, „შესავალი სოციოლოგიაში“, „ფსიქოლოგიის საფუძვლები“, „შესავალი ეკონომიკაში“, „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“, „შესავალი სოციალურ ფსიქოლოგიაში“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ჯგუფის ანგარიშის მიხედვით პროგრამის სასწავლო კურსები (სავალდებულო და არჩევითი) შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო სასწავალო კურსების შესწავლამ და წარმოდგენილმა კურიკულიუმის რუკამ აჩვენა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ მითითებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტებისათვის უნარების მიმართულებით. თუმცა, საკუთრივ პროგრამის შედეგებში კონკრეტულად არ ჩანს თუ დარგის რა ფართო ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. აქედან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები ზოგადად ასახავს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. კურუკულუმის და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ, ისევე როგორც გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურსების საკრედიტო მოცულობა უზრუნველყოფს თითოეული კურსით გათვალისწინებული თემების დაუფლებას. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი

საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. მათი გადანაწილებისას მხედველობაში მიიღება სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში მოსამზადებელი დავალებების მოცულობა და სირთულე, ასევე სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სასწავლო კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურის მოცულობა. ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

სილაბუსებში გაწერილი ლიტერატურა, ძირითადად პასუხობს სილაბუსით გაწერილ თემებს, ხოლო სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ მასში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების შესწავლამ მასში გამოავლინა ტექნიკური და შინარსოობრივი ხარვეზები. შინაარსობრივ ხარვეზი მოიცავს სასწავლო კურსების თემატიკას და ლიტერტურებს შორის გდაფარვებს. მაგალითად:

1. სასწავლო კურსი ,,შესავალი სოციალურ მეცნიერებებში", რომელიც ისწავლება მეორე სემეტრში, მე-12 კვირის თემა არის კვლევის მეთოდები - კვლევის ძირითადი ტიპები, ხოლო ძირითადი ლიტერატურა არის - კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში; ჩავა ფრანკგფორტ ნაჩმიასი, დევიდ ნაჩმიასი თბილისი 2009; - სოციოლოგიური კვლევის მეთოდები; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1998 წ. გვ. 39-45, აღნიშნულ თემას მთლიანად ფარავს მესამე სემესტრში განკუთვნილი სასწავლო კურსის ,,თვისობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში" სილაბუსის პირველი და მეორე კვირის თემა და ლიტერატურა. კერძოდ, II კვირა, II ლექცია 1 სთ - კვლევის ძირითადი ტიპები II სემინარი - 1 სთ ლიტ. კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში; ჩავა ფრანკგფორტ ნაჩმიასი, დევიდ ნაჩმიასი თბილისი 2009; სოციოლოგიური კვლევის მეთოდები; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1998 წ. გვ. 39-45;. მითითებული ლიტერატურის გვერდებიც იდენტურია;
2. სასწავლო კურსი ,,შესავალი სოციალურ მეცნიერებებში" მე-10 კვირის თემა: პოლიტიკური მეცნიერება • ლიბერალიზმი • კონსერვატიზმი • სოციალიზმი, იდენტურია სასწავლო კურსის „შესავლი პოლიტიკის მეცნიერებებში" მე-6 კვირის თემის ლექცია 6. პოლიტიკური იდეოლოგიები განსახილველი საკითხები: ლიბერალიზმი და მისი ტიპები; კონსერვატიზმი და მისი ტიპები; სოციალიზმი და მისი ტიპები; მესამე გზა; ანარქიზმი; რელიგიური ფუნდამენტალიზმი; ფემინიზმი;
3. სასწავლო კურსი ,,შესავალი სოციალურ მეცნიერებებში" მე-9 კვირის თემა: ეკონომიკა • ბაზარი და მისი მუშაობის ძირითადი ლოგიკა • საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა • ფული და ფინანსები ძირითადი ლიტერატურა: • გრეგორი მენქიუ „ეკონომიკის პრინციპები", 2007 • "The Wealth of Nations" Adam Smith • "Economics in One Lesson", Henry Hazlitt, 1946, ფარავს სასწავლო კურსის „შესავლი ეკონომიკაში" II კვირის მე-2 ლექციის (2 სთ) - მოთხოვნისა და მიწოდების საბაზრო ძალები. ლიტერატურა: გ.მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, გამომ. დიოგენე, 2008, გვ. 63-83. III კვირა მე-3 ლექციის (2 სთ) - მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიკურობა. ლიტერატურა: გ.მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, გამომ. დიოგენე, 2008, გვ. 87-107. IV კვირა მე-4 ლექციის (2 სთ) - მომხმარებლები, მწარმოებლები და ბაზრების ეფექტიანობის თემებს. ლიტერატურა: გ.მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, გამომ. დიოგენე, 2008, გვ. 135-152.

აუცილებელია მსგავის, ზემოაღნიშნული თემატური გადაფარვების აღმოფხვრა.

ზოგიერთ სილაბუსში საგნისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა არასწორადაა ჩაშლილი ლექცია-სემინარებზე კალენდარულ გეგმაში (სასწავლო კურსის შინაარსში).

მაგალითად, „BA SS 2 რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში“ კურსის სილაბუსის საათების გადანაწილებაში მითითებულია ლექცია13 სთ და სემინარი - 13 სთ. მაშინ, როცა კალენდარულ გეგმიდან თუ დავითვლით მხოლოდ ლექციისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა გამოვა 26. „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის გაძლიერებულ კურსში“ საათების გადანაწილებაში მითითებულია ლექცია 16 სთ და სემინარი - 16 სთ, ხოლო კალენდარული გეგმის მიხედვით ლექციებს დათმობილი აქვს 29 საათი, ხოლო სემინარებს-23 საათი. ეს შეუსაბამობა უნდა გასწორდეს. პროგრამის სტრუქტურა ძირითადად გამართულია და მაინორი მოიცავს 60 კრედიტს. სასწავლო კურსი თანამედროვე ტენდენციები სოციალურ მეცნიერებებში სასწავლო კურსის განამხორციელებლ პედაგოგად მითითებულია მანან გაბაშვილი თუმცა მე-5 კვირის ლექციას ატარებს (მოწვეული ლექტორი დიმიტრი ჩუბინიძე), მე-8 კვირაში სემინარს ატარებს მოწვეული ლექტორი ვლადიმერ (ლადო) გამსახურდია. მე-9 კვირა ლექციას ატარებს მოწვეული ლექტორი (მითითებული არა რის, მითითებული არ არის არც თემა, არც ლიტერატურა); მე-10 კვირის ლექციას ატარებს მოწვეული ლექტორი (მითითებული არა რის, მითითებული არ არის არც თემა არც ლიტერტურა), შესაბმისად აუცილებელია სასაწავლო კურსში ,,თანამედროვე ტენდენციები სოციალურ მეცნიერებებში“ მკაფიოდ მიეთითოს განმახორციელებლი პირები და ძირითადი ლიტერტაურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანაგარიში ○ საგანამანთლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: ,,შესავალი სოციალურ მეცნიერებებში“, ,,თვისობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, „შესავლი პოლიტიკის მეცნიერებებში“ კურსის „შესავლი ეკონომიკაში“ თემატური გადაფარვების აღმოფხვრა • რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში“ და „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის გაძლიერებულ კურსში“ მოყვანილი საათები შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი სასწავლო გეგმაში საგნისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობასთან. • რეკომენდებულია სასაწავლო კურსში ,,თანამედროვე ტენდენციები სოციალურ მეცნიერებებში“ მკაფიოდ მიეთითოს სასწავლოს კურსის განმახორციელებლი პირები (საკონტაქტო ინფორმაციით) და ასევე გაიწეროს მე-9 და მე-10 კვირის თემა და ძირითადი ლიტერტაურა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიში აღნიშნულია, რაც დადასტურდა გასაუბრების საფუძველზეც, სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნული უნარების განვითარება ინტეგრირებულია უმრავლეს სასწავლო კურსის სილაბუსში. სტუდენტს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე ეძლევა მიღებული ცოდნისა და ათვისებული უნარების პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება.

საგანმანთლებლო პროგრამის სტრუქტურა და მასში მოცემული ზოგიერთი სასწავლო კურსის ერთობლიობა, ასევე, უზრუნველყოფს საბაზისო კვლევითი უნარების განვითარებას. ამ მიმართულებით, პროგრამა მოიცავს შემდეგ სავალდებულო კომპონენეტებს: თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების გაძლიერებული კურსი, დასკვნითი სასწავლო პროექტი აღნიშნული კომპონენტების საკრედიტო მოცულობა და აქტივობები სავსებით საკმარისია საბაზისი კვლევის ადეკვატური უნარ-ჩვევების გაღრმავება-განმტკიცებისათვის. სწორედ კვლევითი კომპონენტების თანმიმდევრული განხორციელებით მიიღწევა საბაზისო კვლევითი უნარების განვითარება სტუდენტებში, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე სასწავლო პროექტით დასტურდება. დასკვნითი სასწავლო პროექტი - ყველაზე ეფექტური მექანიზმია სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასებისათვის. ნაშრომზე მუშაობა სტუდენტისგან მოითხოვს ინტერდისციპლინურ და კომპლექსურ მიდგომას პრობლემის გადაწყვეტის, სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და კვლევის დაგეგმვის პროცესში. სტუდენტს უვითარდება კრიტიკული აზროვნების, ახალი, ორიგინალურიმეთოდების შემუშავებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

როგორც ინტერვიურებამ აჩვენა, დაწესებულების ადმინისტრაცია სტუდენტებში ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის ახორციელებს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობებს, მათ შორის, საჯარო ლექციები, დისკუსია/დებატები, მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრები და სხვ. სკოლის ადმინისტრაცია დაინტერესებულია, რომ მსგავს ღონისძიებებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი, როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ასევე სტუდენტები. აღნიშნული დამოუკიდებელი აქტივობები კიდევ უფრო აახლოებს პროგრამას რეალურ გარემოსთან. სტუდენტები იღებენ პასუხს, იმ კითხვებზე, რაც უჩნდებათ სწავლის პერიოდში. ზოგიერთ შემთხვევაში, იღებენ კონსულტაციასაც მათი იდეების განსავითარებლად. სტუდენტების მიერ დაფუძნებული კინოკლუბის ფარგლებში, სტუდენტები სისტემატიურად ესწრებიან კინო-ჩვენებებს და მოწვეულ სტუმრებთან ერთად განიხილავენ და მსჯელობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კლუბი "ფრონტლაინ საქართველო", რომელიც წარმოადგენს

სტუდენტების, აკადემიური სფეროს წარმომადგენლების, ჟურნალისტების, საჯარო მოხელეებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის დისკუსიების გასამართ პლატფორმას. აღნიშნულ სივრცეში სტუდენტების მონაწილეობით იმართება შეხვედრები, ტრენინგები, კინოჩვენებები, დისკუსიები. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რადიო GIPA (FM 94.4), რომელიც წარმოადგენს სტუდენტურ რადიოს და მისი მიზანია ორენოვანი მედია პლატფორმის მეშვეობითა და სტუდენტთა ჩართულობით უზრუნველყოს აქტუალურ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ საკითხებზე რადიომაუწყებლობა. დაწესებულება ასევე ახორციელებს როგორც აკადემიურ, ასევე შემეცნებითი პროექტებს, რომელშიც მონაწილეობენ როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, ასევე სტუდენტები და კურსდამთავრებულები. როგორც თვითშეფასების ანგარიში აღნიშნულია და ეს ინტერვიურების დროს დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენლებმა საგანმანათლებლო პროგრამა დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სახით არ ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტს და სტუდენტებში აღნიშნული უნარების განვითარება ხდება ზოგიერთი სასწავლო კურსისა და ექსტრაკურიკულარული აქტივობების (მაგალითად, ჩაერთონ სკოლაში მიმდინარე პროექტებში: განწყობისა და სტრესის ექსპერიმენტული კვლევის პროექტში ჩართული იყო 12 სტუდენტი; მედეგობის გაზომვის პროექტში მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებით - 2 სტუდენტი). ამ მიმართულების ხეშეწყობისთვის, ყურადღება ექცევა ისეთ აქტივობებს, როგორიც არის გუნდური მუშაობა, ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაციები და ა.შ. ასევე, მოწვეულ სტუმრებთან შეხვედრები და სხვა. ასევე, კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობები, მათ შორის, საჯარო ლექციები, დისკუსია/დებატები, მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრები და სხვა.) საშუალებით, უნივერსიტეტს/სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა პოტენციურ დამსაქმებელ ორგანიზაციებთან, რაც ხელს უწყობს მათ ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში, საჭიროების შემთხვევაში კი სტუდენტების პრაქტიკასა და სხვადასხვა პროექტში მონაწილეობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტრვიუს შედეგები; ○ სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - www.gipa.ge; ○ მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთა

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდს როგორებიცაა: ლექცია, სემინარი, ჯგუფში მუშაობა, რომლებიც მოიცავს ისეთ აქტივობებს როგორიცაა დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი, ახსნა-განმარტება, ანალიზი, თანამშრომლობითი სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი, მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი და სხვა.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ისინი, ასევე, ითვალისწინებენ სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლამ დაადასტურა, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება/მომზადდება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.

ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღწევას. მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლება-სწავლის სხვა მეთოდები ცალკეულ საგანში გამოყენებულია საგნის სპეციფიკის გათვალისწინებითაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o თვითშეფასების ანგარიში
- o საგანმანათლებლო პროგრამა
- o ინტერვიუს შედეგები პროფესორებთან, სტუდენტებთან
- o სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები
- o საგნების სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, დასკვნითი შეფასება არის სავალდებულო და თუ სტუდენტი არ მიიღებს დასკვნით შეფასებას, მას კურსი არ ჩაეთვლება გავლილად. ამასთან, სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გადალახა შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვრები და ჯამში ორივეში ერთად მიიღო დადებითი შეფასება. სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლით დადგინდა, რომ დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი არ აღემატება 60%-ს და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან, ამასთან სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ინდივიდუალურად 20%-დან 50%-ის ფარგლებში, ხოლო შუალედური შეფასებისთვის შუალედური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთ მრავალჯერადი შეფასების კომპონენტები, როგორიცაა წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა, დებატები, დისკუსია და ა.შ. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში, კერძოდ: 1. ფსიქოლოგიის საფუძვლები; 2.საზოგადოების აზროვნების ფილოსოფიური საფუძვლები; 3. შესავალი ეკონომიკაში; 4. შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში; 5.საზოგადოებასთან ურთიერთობების საფუძვლები; 6. საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა; 7. პოლიტიკური იდეოლოგიები; 8.შესავალი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში; 9. ევროკავშირის პოლიტიკა არ არის მოცემული დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდების შესაბამისი რუბრიკები, სილაბუსებში მოცემულია მხოლოდ ზოგადი შეფასების რუბრიკები, თუმცა არ კონკრეტდება შეფასების რომელი მეთოდი (ტესტი, ესე, ღია შეკითხვა, კაზუსი თუ სხვა) რომელი რუბრიკითა და კრიტერიუმებით ფასდება, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3

ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სავალდებულოა, შესაბამისად, **რეკომენდებულია** აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების მითითება.

ასევე, აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის მართვის მექანიზმები უზრუნველყოფს პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას, შესაბამისად პროგრამის პერსონალი იღებს ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის სათანადო მხარდაჭერას, რაც დადასტურდა ინტერვიუების პროცესში.

სტუდენტის შეფასება მოიცავს ხუთი სახის დადებითი შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

და ორი სახის უარყოფით შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX შეფასების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა სავალდებულო სახით მოიცავს დასკვნითი სასწავლო პროექტის შესრულებასა და დაცვას, რომელიც ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დასკვნით სასწავლო პროექტზე მუშაობის ინსტრუქციაში დეტალურადაა მოცემული თითოეულ ეტაპზე სტუდენტის შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები. ამასთან, პლაგიატის პრევენციისთვის უსდ-ს დანერგილი აქვს ანტიპლაგიატის პროგრამა "Turnitin".

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ასევე პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალის სისტემა, ასევე როგორც პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებს ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აგრეთვე განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, ლექტორი ვალდებულია გამოცდის შედეგები სტუდენტს გააცნოს გამოცდის ჩატარებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. გამოცდის შედეგების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოცდო ნაშრომის შეფასება, უნივერსიტეტის საერთო მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, წერილობითი საჩივრის წარდგენის გზით. საჩივრის განხილვის

მიზნით სკოლის დეკანი განსაზღვრავს იმ ლექტორს ან დარგის სხვა ექსპერტს, რომელიც ვალდებულია 2 კვირის ვადაში საფუძვლიანად შეისწავლოს და ობიექტურად განიხილოს სტუდენტის ნაშრომი ან, ზეპირი გამოცდის შემთხვევაში ჩაატაროს განმეორებითი გამოცდა. ადმინისტრაცია ვალდებულია სტუდენტის ნაშრომი, რომელიც ექვემდებარება შეფასებას, ელექტრონული ან მატერიალური ფორმით, შეინახოს ნაშრომის გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე. აღნიშნული შესაძლებლობა დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს დროსაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით); ○ დასკვნით სასწავლო პროექტზე მუშაობის ინსტრუქცია; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1.ფსიქოლოგიის საფუძვლები; 2.საზოგადოების აზროვნების ფილოსოფიური საფუძვლები; 3.შესავალი ეკონომიკაში; 4.შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში; 5.საზოგადოებასთან ურთიერთობების საფუძვლები; 6.საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა; 7.პოლიტიკური იდეოლოგიები; 8.შესავალი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში და 9.ევროკავშირის პოლიტიკა - სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებითა და რუბრიკით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც სტუდენტებთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ლექტორებისგან იღებენ დამატებით კონსულტაციებს, თუმცა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, მათ არ გამოუყენებიათ საკონსულტაციო საათები. ამასთან, ინტერვიუების პროცესში აღინიშნა რომ სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას პროგრამის კოორდინატორისაგან ყველა სიახლეზე - როგორიცაა ცვლილება განრიგში, დაგეგმილი შეხვედრა უნივერსიტეტის მიერ მოწვეულ სტუმრებთან, დაგეგმილი სპორტული ღონისძიება, გაცვლითი პროგრამები ან სწავლის დაფინანსების შესაძლებლობა და სხვა. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომელსაც მაკოორდინირებელი ფუნქცია აქვს სტუდენტებს, შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციასა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის. აღნიშნული ცენტრი რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ურთიერთობს, ერთი მხრივ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, და, მეორე მხრივ, დამსაქმებლებთან, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები CV-ის შედგენისა და გასაუბრების ტექნიკების შესახებ, ასევე იმართება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც დადასტურდა ვიზიტის პროცესში. ასევე უნივერსიტეტი მართავს

დასაქმების ფორუმებს და რეგულარულად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. ამასთან ხდება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის მონიტორინგი, რაც დადასტურდა კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს, რაც მისასალმებელი პრაქტიკაა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს აქვს ფართო თანამშრომლობა, უცხოურ უნივერსიტეტებთან და სოციალური მეცნიერებების პროგრამის სტუდენტები ჩართულები არიან საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და სემესტრულ მობილობებში. „ჯიპას“ საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი აქტიურად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას საერთაშორისო პროექტების, კონფერენციებისა და სემესტრული მობილობების შესახებ. აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს მონაწილეობა აქვთ მიღებული საფრანგეთის EDHEC ბიზნესის სკოლის, ჰანზეს გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტის, ვარშავის ეკონომიკური სკოლის, ბრატისლავას ეკონომიკური უნივერსიტეტის, პრაღის ეკონომიკური უნივერისიტეტის, ნიდერლანდების რედბოულდის უნივერსიტეტის, ლილეს კათოლიკური უნივერსიტეტის და სხვ. საერთაშორისო მობილობებსა და გაცვლით პროექტებში.

სოციალური მეცნიერებების სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასვე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ. ასევე სტუდენტი იღებენ სათანადო კონსულტაციას საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები და ფუნქცია-მოვალეობები;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია – პროგრამების ხელმძღვანელი;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია – პროგრამის კოორდინატორი;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მისასალმებელი პრაქტიკაა ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და მობილობებში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი *ჯიპას* ხარისხის სამსახურისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან ინტერვიუმ, ასევე თვითშეფასების დოკუმენტის, პროფესორ მასწავლებლების პირადი საქმეების ანალიზმა მკაფიოდ აჩვენა, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს პროგრამის დასახული მიზნის და მისი შემდგომი განვითარების რესურსი. პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების შეთანხმებული თანამშრომლობით გაიზარდა საუნივერსიტეტო გრანტის მოცულობა, რომელიც გულისხმობს პროფესორ მასწავლებლების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში და სტუდენტების ჩართვას კვლევით პროექტებში, რაც მეტყველებს აკადემიური პერსონალის მაღალ მოტივაციასა და კვალიფიკაციაზე. ვიზიტმა აჩვენა პროგრამის ხელმძღვანელის მაღალი კვალიფიკაცია და ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელის გამოცდილება და სამეცნიერო კვალიფიკაცია უზრუნველყოფს აკადემიური

პერსონალისათვის კონკურენტულ გარემოს და კოლეგიალურ ატმოსფეროს შექმნას.

აკადემიური პერსონალის საქმიანობა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და *ჯიპას* რეგულაციებთან. პროგრამაში მონაწილეობს 34 პროფესორი. აქედან 15 პროფესორია, 8 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ-პროფესორი, ხოლო 7 ასისტენტი. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში 32 მოწვეული ლექტორი მონაწილეობს. პროფესორების ეს რაოდენობა 131 სტუდენტისათვის სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართავს და პროგრამის მიზნებისა და შედეგების სრულფასოვან განხორციელებას. აკადემიური პერსონალის თითოეულ წევრთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც ასახულია სამუშაოს აღწერილობა, თანამდებობრივი ინსტრუქცია.

ჯიპას აკადემიური პერსონალი გარდა სალექციო და სასემინაროს საქმიანობისა, აქტიურ სამეცნიერო საქმიანობასაც ეწევა, რაც ასახულია მათ მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში. აღსანიშნავია ადმინისტრაციის ჩართულობა სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებაში.

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ხარისხის სამსახური, ბიბლიოთეკის თანამშრომლები ინტერესდებიან პროფესორ-მასწავლებლების საჭიროებებით და აკადემიურ პერსონალის მოთხოვნებს სწრაფად და ეფექტურად ეხმაურებიან.

აკადემიურ პერსონალი უზრუნველყოფილია უახლესი დარგობრივი და მომიჯნავე ლიტერატურით; წიგნებსა და ელექტრონულ ბაზებზე წვდომა ტექნიკურად უზრუნველყოფილია; *ჯიპას* ბიუჯეტში სასწავლო მასალებით უზრუნველყოფისათვის გამოყოფილია თანხა (40.000 ლარი).

ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდით და საძიებო სისტემით სათანადოდ არის აღჭურვილი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად აკვირდება სოციალურ მეცნიერებების აკადემიურ სივრცეს, ეცნობა ახალ კადრებს და ცდილობს მათ ინტეგრაციას პროგრამაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი ფლობს მაღალ კვალიფიკაციას, ხოლო აკადემიური პერსონალის რაოდენობა სრულებით უზრუნველყოფს სასწავლო და კვლევითი პროცესების სრულყოფილ წარმართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ აკადემიურ და ადმისნისტრაციულ პერსონალთან;
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- სამუშაო აღწერილობა - პროგრამის ხელმძღვანელი;
- სამუშაო აღწერილობა - პროგრამის კოორდინატორი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- აკადემიური დატვირთვის სქემის შაბლონი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი *ჯიპაში* აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება და მას ხელს უწყობს: 1.**ჯიპას სტრუქტურაული ერთეული.** კვლევითი საქმიანობა ხორციელდება სტრუქტურული ერთეულის-კვლევითი დეპარტამენტის- კოორდინაციით და ხარისხის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით. კვლევითი საქმიანობის საკონტროლო მექანიზმად გამოიყენება აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში, სადაც ასახულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობა. 2. **სამეცნიერო საქმიანობა.** სამეცნიერო საქმიანობა (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინება, კონფერენციაში მონაწილეობა, პუბლიკაციის გამოქვეყნება და ა.შ.) მხარდაჭერილია უნივერსიტეტის ბიუჯეტით. ბიუჯეტში აისახა ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და მოხდა მისი ადაპტაცია არსებულ ვითარებასთან. ეს ვითარება სათანადოდ აისახა ბიუჯეტში. ასე მაგალითად, კვლევის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერა ყოველწლიურად იზრდება 15%-ით. **3. საგამომცემლო საქმიანობა.** დაიგეგმა ახალი ელექტრონული სახელმძღვანელოების გამოცემა (ყოველწლიურად სამი პროექტი). *ჯიპაში* მოქმედებს პოლიტიკის შეფასების ცენტრი, რომელიც კოორდინაციას უწევს ელექტრონული გამოცემების გამოქვეყნებას და ეს პროცესი ასევე ფინანსურად უზრუნველყოფილია. აღსანიშნავია, რომ *ჯიპა* აკადემიურ საქმიანობას, სასწავლო პროცესს უთავსებს უნივერსიტეტის სამეწარმეო პოტენციას გაზრდას, რაც აისახება საუნივერსიტეტო სტარტაპ პროექტების დაფინანსებაში. **4. კვლევითი საქმიანობის ანალიზი და შეფასება.** შეფასება ხდება ყოველწლიური ანგარიშით, ამ მიზნით შექმნილია ანალიზისა და შეფასების სისტემა, რომელიც დოკუმენტურად არის აღწერილი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. ამ საქმიანობის შეფასება და განხილვა ხდება *ზოგადსაუნივერსიტეტო* დონეზე. **5. სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და პროფესორების დახელოვნება.** *ჯიპას* სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ასე მაგალითად *ტროის* უნივერსიტეტთან ერთად გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე საფუძველი ჩაეყარა

ინგლისურენოვან ონლაინ ჟურნალს Journal of Politics and Democratization, სადაც აკადემიური პერსონალი აქვეყნებს სტატიებს. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას ხელს უწყობს მაღალრეიტინგულ გამოცემაში პუბლიკაციების გამოქვეყნება. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს პუბლიკაციების მონიტორინგს, რაც დასტურდება წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტით და აკადემიური პერსონალის *სივებით.*

ჯიპას აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას ხელს უწყობს საერთაშორისო პროფესიული ასოციაციის წევრობაც.

აკადემიური პერსონალის აკადემიური კეთილსინდისიერება მოწმდება TURNITIN-ის ლიცენზირებული პროგრამით.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სტრუქტურული ერთეულები და პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავენ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციაზე და სასწავლო პროცესის სრულყოფაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის სამსახურთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის საქმიანობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში 2018 წლიდან დღემდე;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- https://herd.tsu.ge/ka/categori/29/Consortia;
- http://jpd.gipa.ge/;
- აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების წლიური ანგარიშგების ფორმა (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დანართი # 8);
- პროფესიულ ასოციაციებში წევრობის მხარდაჭერის დოკუმენტაცია - NASPAA, NISPAcee.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასებისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ *ჯიპა* მუდმივად ზრუნავს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე. ეს მიღწეულია: 1. თანამედროვე საპრეზენტაციო საშუალებებით აღჭურვილი (პროექტორები, სამუშაო მაგიდები და სკამები და ა.შ.) აუდიტორიებითა და საკონფერენციო დარბაზებით; 2. კომპიუტერებით და კომპიუტერული პროგრამებით; 3. ბიბლიოთეკით, რომელიც მუდმივად ივსება ახალი ლიტერატურით და ელექტრონული, ციფრული ბაზებით ((EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; ImechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier)); 4. სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემით 5. უნივერსიტეტი აღჭურვილია უსაფრთხოების სისტემებით (lmb.gipa.ge);
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან და რესურსების ვიდეო დათვალიერება; ○ შენობა-ნაგებობის საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ○ სილაბუსებში არსებული ძირითადი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა დასტურდება, ერთი მხრივ ვებ-გვერდზე არსებული კატალოგებითა და პროგრამა KOHA-ში არსებული აღრიცხვით და მეორე მხრივ, მათი „LMB“ პროგრამაში არსებობით, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტრონულად.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჯიპას საერთო ბიუჯეტი იქმნება სხვადასხვა პროგრამის სტუდენტების სწავლების გადასახადისა და სხვადასხვა შემოსავლებისგან. პროგრამის ბიუჯეტი ხელმისაწვდომია აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებული პირებისათვის. ბიუჯეტი სათანადოდ არის გაწერილი და მასში გათვალისწინებულია სხვადასხვა პროგრამის მოსალოდნელი შემოსავლები. ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაძლებლობა სასწავლო და კვლევითი პროექტებისათვის მოითხოვოს თანხები, რაც მეტწილად მხარდაჭერილია ადმინისტრაციის მხრიდან. პროგრამისათვის აუცილებელ სხვა ხარჯები (ლიტერატურის შეძენა, კონფერენციებში მონაწილეობა და ა.შ.) უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან იფარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o პროგრამის ბიუჯეტი;
- o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სამსახური კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და შემდგომში კი შეფასების პროცესში. უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრყნველყოფის პროცესები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასება ეფუძნება 2 დოკუმენტს: „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“ (თავი III საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; თავი VIII სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები) და „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“. უნივერსიტეტში შემუშავებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარეს“ პრინციპით მუშაობას, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესული მხარის თანამონაწილეობას, რაც ძირითადად ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების რეგულარული გამოკითხვებით. გარდა აღნიშნულისა, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების მიზნით

სისტემური სახე აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შეფასებასა და ლექტორების მუშაობის ეფექტიანობის შეფასებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სემესტრულ ანალიზსა და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობის დადგენას.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართული იყო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში. მათ მაღალი ცნობადობა დააფიქსირეს პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცედურებთან მიმართებით. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობდა პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინატორთან ერთად, ხოლო შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ხარისხის უზრუნველყოფს სამსახურიც. წარმოდგენილი პროგრამის ხარისხის შეფასების მიზნით განხორციელებულია რიგი აქტივობები:

1. ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების განსაზღვრის, სასწავლო გეგმის შემუშავება-განახლების, სასწავლო კურსების, მათი აქტუალობის, დისტანციური სასწავლო პროცესისა და მისი გამოწვევების განხილვის მიზნით;
2. შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენის მიზნით ჩატარდა ცამეტი თემატური ფოკუს ჯგუფი/მრგვალი მაგიდა, მათ შორის, სოციალური მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამისთვისაც;
3. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობით, ჩატარდა შეხვედრების ციკლი სოციალური მეცნიერებების პტოგრამაში შემავალი შესაბამისი სფეროს (საჯარო მმართველობა, ფსიქოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები) დამსაქმებლებთან;
4. ოთხი ქართული კერძო უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობით ცატარდა შრომის ბაზრის კვლევა (აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფი კვლევის შედეგებს ვერ გაეცნო, კვლევის კომფიდენციალურობიდან გამომდინარე);
5. განხორციელებულია სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
6. გაანალიზებულია საბაკალავრო პროგრამის 2015-2020 წლების კურსდამთავრებულთა მონაცემები და 2020-2021 წლის შემედგომის სემესტრის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
7. 2019-2020 წლებში ცატარებულია სტუდენტთა ფოკუეს-ჯგუფები და წარმოდგენილია შესაბამისი ანალიზი;
8. პროგრამა გარე შეფასების მიზნით გადაეგზავნა გარე შემფასებელს.

აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებისას დადასტურდა, რომ თვითშეფასების დოკუმენტზე მუშაობისას, საჭირო სტატისტიკური თუ თვისებრივი მონაცემების თავმოყრისა და გაანალიზების პროცესში აქტიურად იყო ჩართული როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი. აღნიშნულ პროცესს კი ძირითადად ხელმძღვანელობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან ერთად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ○ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება უნივერსიტეტში ძირითადად ხორციელდება ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებით, რის შემდგომაც, უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის მიერ ხდება მიღებული მონაცემების გაანალიზება და რეკომენდაციების გათვალისწინება. გარდა განათლების სფეროში არსებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისიწინებული პროცედურებისა, უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მოწვეულ ექსპერტებთან და იყენებს მათ მიერ გამოთქმულ რჩევებსა და რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების

სრულყოფისთვის. წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასება განახორციელა მოწვეულმა ადგილობრივმა ექსპერტმა. მოწვეული ექსპერტის რეკომენდაციები მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია პროგრამის კურიკულუმში. სახელდობრ, სემიოტიკისა და ანთროპოლოგიის საკითხები დაემატა სასწავლო კურსს „თანამედროვე ტენდენციები სოციალურ მეცნიერებებში“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსი „თანამედროვე ტენდენციები სოციალურ მეცნიერებებში“; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გარე შემფასებლის დასკვა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება დაინტერესებლი მხარეების - აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების - ჩართულობით.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით უნივერსიტეტი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ და „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს“ დოკუმენტებზე დაყრდნობით ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის სსხვადასხვა ფორმას იყენებს, მათ შორის: კონკურენტი პროგრამების კვლევა და ანალიზი; შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანამანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა; კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და სტატისტიკური აღრიცხვა; სასწავლო პროცესის სემესტრული ანგარიში; სტუდენტების მიერ ლექტორების ფარული წესით შეფასება; ლექტორის მიერ ჯგუფის შეფასება; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება (სტუდენტების შეფასების და GPA-ს დისტრიბუცია); სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ფოკუს-ჯგუფების ანალიზი; საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიალური შეფასება დაწესებულების შიდა აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსებითა და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას სისტემური ხასიათი აქვს, ხოლო ანალიზი ხორციელდება დადგენილი პერიოდულობით, სხვადასხვა მიმართულებით. შესაბამისად, სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში: 1. ყოველწლიურად, მრგვალი მაგიდის ფორმატში იმართება შეხვედრები დამსაქმებლებთან ერთი მხირვ მოხდეს მათი კრიტერიუმებისა და მოთხოვნების იდენტიფიცირება, ხოლო მეორე მხრივ, საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვა. 2. ყოველი საგნის დასრულების შემდეგ სტუდენტები ავსებენ ანონიმურ შეფასების კითხვარებს. მიღებული შედეგების შეჯამება და გაანალიზება გამოიყენება კონკრეტული სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასებისთვის. 3. ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელისა და სკოლის ხარისხის მენეჯერის შეხვედრა სტუდენტებთან, სადაც განიხილება სასწავლო პროცესი, პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები, პროგრამაში არსებული ხარვეზები და რეკომენდაციები. 4. ყოველსემესტრულად ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, რაც ემსახურება სასწავლო კურსების, მათი სწავლებისა და შეფასების მეთოდების ადეკვატურობის, გამოყენებული ლიტერატურისა და თემატიკის რელევანტურობისა და დაძლევადობის შეფასებას. 5. დანერგილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ურთერთდასწრების პრაქტიკა ლექციებსა და გამოცდებზე, რომელსაც, ასევე ხორცილედება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელის ჩართულობით. 6. სისტემატურად იმართება შეხვედრები მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან კურიკულუმის შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა. 7. პროგრამის შეფასების მიზნით ყოველწლიურად აღირიცხება კურსდამთავრებულების დასაქმების სტატისტიკა და მათ კარიერულ განვითარების შემთხვევები. 8. ხორციელდება კონკურენტი უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლა და ანალიზი, რა დროსაც შესადარებელ ინდიკატორებად გამოიყენება კურიკულუმი, სწავლის საფასური, სასტიპენდიო პოლიტიკა, ინტერნაციონალიზაცია და სხვ.

მიუხედავად უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის გამართული სისტემისა, წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამისა და სილაბუსების მიზნები და

სწავლის შედეგების ფორმულირებები ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამის მიზნები მისი ფორმულირებით ჩამოჰგავს სწავლის შედეგებს და ამავდროულად ერთი მიზანი მოიცავს განსხვავებული შინაარსის რამდენიმე მიზანს. სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები კი წარმოდგენილია 6 კატეგორიად შემდეგი სახელდებების ქუდქვეშ: შედეგი 1. სოციალურ მეცნიერებათა დარგების ფართო ცოდნა; შედეგი 2. ზოგადი განათლება; შედეგი 3. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; შედეგი 4. კვლევის უნარი; შედეგი 5. ტრანსფერული უნარები; შედეგი 6. ეთიკა. 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების თანახმად ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩო, კვალიფიკაციის შესაბამისი დონის სწავლის შედეგების აღწერასა და განზოგადებას ახდენს სამ სწავლის შედეგში: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სწავლის შედეგები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას როგორც ჩაშლილი სახით 3 კატეგორიად, ისე გაერთიანებულად, თუმცაღა ორივე შემთხვევაში უნდა ჩანდეს როგორც ცოდნა-განცობიერების, ისე უნარისა და რიგ შემგთხვევებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტი. პროგრამის სწავლის შედეგები კი მისი ფორმულირებებით სასწავლო კურსების სწავლის შედგეებისგან განსხვავებით არ არის ჩამოყალიბებული ზემოაღნიშნულ 3 კატეგორიად. მიგვაჩნია, რომ მსგავსი ტიპის შეუსაბამობა პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს შორის განსაკუთრებით პრობლემური იქნება პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგისა და შეფასების პროცესების ეფექტიანი განხორციელებისთვის. საყურადღებოა, რომ პროგრამისა და რიგი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები სრულყოფილად არ აღწერს თუ რა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების დემონსტრირება შეეძლება სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ. რეკომენდებულია, სწავლის შედეგები აღიწეროს მარტივად, მკაფიოდ, რათა შესაძლებელი იყოს მათი ობიექტურად შეფასება, ნათლად უნდა ჩანდეს თუ რისი შესრულება/კეთება შეეძლება სტუდენტს, არ უნდა იქნას გამოყენებული ორაზროვანი და ბუნდოვანი ზმნები, როგორიცაა „გაიაზრებს“, „იცის“, „ფლობს“, „აქვს“ და ა.შ. თითოეული სწავლის შედეგი უნდა ჩამოყალიბდეს აქტიური ზმნებით და ასევე, თითოეული სწავლის შედეგისთვის სასურველია მხოლოდ ერთი ზმნის გამოყენება (იხ. 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; 2. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო, დ. კენედი, 2006 წ. რედ. 2014 წ.). ბუნდოვანია, ჩაუტარდათ თუ არა აკადემიური და მოწვეულ პერსონალს მიზნობრივი ტრეინინგები/სამუშაო შეხვედრები სწავლის შედეგების ფორმულირებასთან მიმართებით. ამ მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააქტიუროს მუშაობა, რადგან პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვან კომპონენტად მიგვაჩნია პროგრამის სწავლის შედგების შეფასება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;

- ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- ეროვნული შრომის ბაზრის კვლევა - ხელშეკრულება;
- დამსაქმებლებთან შეხვედრების ანგარიში;
- აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანგარიში;
- სტუდენტური კითხვარების შედეგების ანალიზი;
- სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების შედეგების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი;
- განხორციელებული ცვლილებების ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების ანგარიში;
- ლექტორებთან განხორციელებული შეხვედრების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან სწავლის შედეგების მართებულად ჩამოყალიბების (მოქმედების გამომხატველი, აქტიური ზმნებით, რათა შესაძლებელი იყოს მათი გაზომვადობა) მიზნით, რაც შემდგომ ეტაპზე გაამარტივებს პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს სწავლის შედეგებთან მიმართებით.

რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, მოხდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რეფორმულირებება არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირაკლი მანველიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქრისტინე ჩიხლაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა მამუკა ნადარეიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ემზარ ჯგერენაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნიკა გიგაური